

## II სხდომა

რუსული ენის კომოდიფიკაციის პროცესი  
და მისი გარდაქმნა განსაკუთრებულ  
კომუნიკაციურ რესურსად

THE PROCESS OF COMMODIFICATION OF THE RUSSIAN  
LANGUAGE AND ITS TRANSFORMATION INTO A SPECIAL  
COMMUNICATIVE RESOURCE

ტატიანა ჭეიშვილი, ირინა კაპანაძე

Tatiana Tcheishvili, Irina Kapanadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ენის კომოდიფიკაცია, რუსული ენის  
სტატუსი, ენის ფუნქცია, ენობრივი სერვისები

**Keywords:** language commodification, Russian language status,  
language function, language services

მოხსენებაში განხილულია საქართველოში რუსული ენის როლისა და სტატუსის ცვლილების საკითხები. კერძოდ, აღნიშნულია, რომ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა პროცესებმა დიდი გავლენა მოახდინა რუსული ენის კომოდიფიკაციის პროცესზე და მის განსაკუთრებულ კომუნიკაციურ რესურსად გადაქცევაზე. თავის მხრივ, კომოდიფიკაცია მოცემულ ისტორიულ ეტაპზე ხელს უწყობს საქართველოს ტერიტორიაზე რუსული ენის შესწავლის ინტერესის კვლავ გაღვივებასა და გაძლიერებას.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ენობრივი პოლიტიკის განსაზღვრა გადამწყვეტ როლს ასრულებს ინტერნაციონალური იდენტობის შექმნაში. ამ დროისთვის საქართველოში რუსული ენის სწავლებას ხელოვნურ-სასწავლო ხასიათი აქვს, რაც განპირობებულია იმით, რომ ქართულენოვან სტუდენტებს არ გააჩნიათ რუსულ ენაზე ურთიერთობის ბუნებრივი მოთხოვნილება.

რუსული ენის სწავლების შეგნებულ-კომუნიკაციური ბუნება წინ წამოსწევს მეცადინეობებისთვის პრაქტიკული ხასიათის მინიჭებას. მისი რეალიზაცია ვლინდება რუსული ენის შესწავლაში, როგორც ცოცხალი განვითარებადი მოვლენისა, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებულია რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებებთან.

ინტერესს იწვევს რუსული ენის თავისებურებათა გამოყენება ტურიზმის ტრადიციულ სფეროებში, რადგანაც იზრდება საქართველოს კულტურული ღირებულებებისადმი რუსი ტურისტების ინტერესი.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველოში საგრძნობლად შემცირდა რუსული ენის მცოდნეთა რაოდენობა, რუსულმა ენამ დაკარგა თავისი პოზიციები განათლების სისტემაშიც. ბუნებრივია, შეიცვალა ქართველი სტუდენტების მიერ რუსული ენის შესწავლის სტიმულიც. საქართველოში რუსული ენისადმი

ინტერესი იზრდება ტურისტებისა და იმ გარემოების წყალობით, რომ აქ აქტიურად ყიდულობენ უძრავ ქონებას რუსები. ყოველივე ეს ახალ შესაძლებლობებს უქმნის საქართველოში რუსული ენის შესწავლას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ი. პროხოროვის შემდეგი მოსაზრება: „ენა – საქონელია. როგორც ფილოლოგს, მესმის, რომ ენა კულტურის საგანძურია და ამაში არც მჭირდება დარწმუნება, მაგრამ როგორც ადამიანმა, რომელიც უცხოელებს ასწავლის რუსულ ენას, ვიცი: მე მყავს კლიენტი. მისთვის ენა - მომგებიანი საქონელია და მე, ფილოლოგმა, უნდა დავარწმუნო საკუთარი კლიენტი, რომ განსაზღვრულ დროში შევასწავლი მას ენას მის სასარგებლოდ. ჩვენ კი დიდი ხნის განმავლობაში ენას წარმოვაჩენდით, როგორც იდეოლოგიას ან კულტურაში ჩაფლობას ამ სიტყვის ყველაზე ფართო მნიშვნელობით... მოდი, ამოვიდეთ მარტივი რეალობიდან: რაც უფრო მეტად ვასწავლი ადამიანებს რუსულ ენას და ვუხსნი, რატომაა ეს მათთვის მომგებიანი, მით უკეთესია ეს ენისთვის“ [Прохоров, 2009, 5].

ტურიზმის სფეროში რუსული ენის მოთხოვნა რუსული ენის მასწავლებლებს აძლევს ამ ენაზე თანამედროვე კურსების (მათ შორის, ონლაინ), ახალი ტიპის სახელმძღვანელოების შექმნის საშუალებას.

### **ლიტერატურა:**

**Прохоров Ю.** (2009). Русский язык вновь востребован в мире. Русский мир.ru., 5. URL: <http://www.russkiymir.ru/media/magazines/article/141682/>(дата обращения: 20.02.2022).

The article discusses issues related to the changing role and status of the Russian language in Georgia. It notes that the political, economic and social processes in Georgia have largely influenced the process of commodification of the Russian language and its transformation into a

special communicative resource. On the other hand, commodification, at this historical stage, contributes to resumption and strengthening of interest in studying the Russian language in Georgia.

Firstly, the definition of Georgia's language policy plays a crucial role in creating a national identity. Currently, Russian language instruction in Georgia has an artificial educational nature due to the lack of a natural need for Georgian-speaking students to communicate in Russian.

The consciously communicative nature of Russian language training brings to the forefront the requirement of its practical orientation. Its realization manifests itself in the study of the Russian Language as a living, developing phenomenon closely connected with the changes in the Russian government's socio-political, economic and cultural life.

The usage characteristics of the Russian Language in traditional tourism arouse attention as Russian tourists show an increasing interest in the cultural values of Georgia.

Over the past decades, the number of Russian speakers has noticeably decreased in Georgia, and the Russian Language has lost its position in the education system. Naturally, Georgian students' passion to learn Russian has changed. Interest in the Russian Language is growing in Georgia thanks to Russian tourists and the fact that they are actively purchasing real estate here. All the mentioned above opens up new opportunities for popularizing the Russian Language in Georgia. From this point of view, the following thought by Y. Prokhorov is of interest: "Language is a commodity. As a philologist, I understand that Language is the treasury of culture, and I do not need to be convinced of this. However, as a person who teaches Russian to foreigners, I know I have a client.

Language is a profitable commodity for them, and I, a philologist, must convince my client that I will teach them the Language to their advantage at a particular time. For a long time, we have presented the language as an ideology or an introduction to culture in the highest sense of the word... Let us proceed from simple reality simple: the more

I teach people the Russian Language, explaining how it benefits them, the better it will be for the Language [Прохоров, 2009, 5].

The demand for the Russian Language in tourism allows Russian language teachers to create new modern Russian language courses (including online) and textbooks of a new type.

### **References:**

**Прохоров Ю.** (2009). Русский язык вновь востребован в мире. Русский мир.ru., 5. URL: <http://www.ruskiymir.ru/media/magazines/article/141682/>(дата обращения: 20.02.2022).